განმცხადებელი : ქალები საერთო მომავლისთვის (WECF) - საქართველო

თარიღი : 15-06-2022

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : **პრინციპი 7;პრინციპი 10**

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : **რუსთავი ორი, გადაცემა "ღამის პრაიმ-თაიმი"-ს წამყვანები და დირექტორი თამარ ფხაკაძე**

სადავო მასალა : Night Prime Time • ღამის პრაიმ-თაიმი თემა : ცოლის მკვლელი კაცები და გულგრილი საზოგადოება - ვინ არის დამნაშავე საზარელ მკვლელობებში ? 31 მაისი 2022, რუსთავი 2 https://www.facebook.com/night_primetime/videos/518575933295416

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება : ზემოთაღნიშნული გადაცემა, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზნებს ისახავდა ის, დაეთმო ფემიციდის (ქალების მკვლელობას მათი სქესის გამო) ვულგარიზაციასა და ბანალიზაციას, რადგან გადაცემის მთავარი ინტერესი არ ყოფილა ამ პრობლემის სიღრმისეული ანალიზი, რადგან ქალთა მიმართ ძალადობაზე, როგორც სისტემურ და საყოველთაო პრობლემაზე აქცენტი არათუ დასმული, მოხსენიებულიც არ იყო. გადაცემის პრობლემურობა ასევე გამოიხატა იმაში, რომ ფემიციდზე პასუხისმგებლობის გაზიარების შემთხვევაში ფოკუსი არასწორად დაისვა. ერთის მხრივ, ნახსენები არ იყო სახელმწიფოს როლი და პასუხისმგებლობა, ისევე როგორც სამართალდამცავი ორგანოების თუ სხვა უწყებების ეფექტურობა და მნიშვნელობა ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის კუთხით. მეორე მხრივ კი, გადაცემის წამყვანებმა და სტუმრებმაც არაერთხელ ახსენეს საზოგადოების პასუხისმგებლობა, მაგრამ არასწორი აქცენტებით - მათ დაგმეს და არ მოიწონეს კონკრეტული ფემიციდის შემთხვევაში ადგილზე მყოფი ადამიანების „უმოქმედობა", რომ დამნაშავე ვერ შეაჩერეს, რომ წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს დანით შეიარაღებულ ადამაინს და ფემიციდი ვერ აიცილეს თავიდან. ეს მოსაზრება გაიზიარა ასევე ერთ-ერთმა სტუმარმა, რომელმაც თქვა, რომ "შეიძლებოდა ამ ადამიანის გაჩერება" (იხილეთ ლინკი 1:57-დან 3:28 - ის ჩათვლით). სტუმრებსა და წამყვანებს შორის მთელი დისკუსია იმგვარად წარიმართა, რომ სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ნაცვლად, მოქალაქეებს კონკრეტული საქმის დამნაშავის "სახალხო დასჯისკენ", ჩაქოლვისკენ მოუწოდებდა (იხილეთ ლინკი 16:44- დან 17:05-ის ჩათვლით). გარდა ამისა, გადაცემის წამყვანების მიერ ფეისბუკ კომენტარების კითხვისას, გამოიკვეთა ძირითადი ხაზი, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის დაუსრულებლობაში ქალებსვე ადანაშაულებდა (იხილეთ ლინკი 23:49 -დან 24:06-ის ჩათვლით). პატრიარაქლური კულტურის და არსებული კონტექსტის შესახებ ანალიზის გარეშე, წამყვანები ამოკითხული კომენტარებით უკრიტიკოდ ავრცელებდნენ მოსაზრებას, რომ ქალები ზრდიან მოძალადე შვილებს (იხილეთ ლინკი 25:12-დან 26:29-ის ჩათვლით). გარდა იმისა, რომ მსგავსი დამოკიდებულება პრობლემისადმი ზედაპირულ და ზერელე მიდგომას აჩვენებს, ქალთა მიმართ ძალადობაში მთავარ დამნაშავეზე ფოკუსირება არ ხდება. ამ შემთხვევაში კი პასუხისმგებელი ორი ვინმე შეიძლება იყოს: თავად დანაშაულის ჩამდენი და სახელმწიფო, რომელიც თავისი გულგრილობითა და პრობლემის მნიშვნელობის არასრულფასოვნად გააზრებით, ქალებს ძალადობის დაუსრულებელ წრეში ამყოფებს. წამყვანების მიერ წაკითხული კომენტარები მხოლოდ ერთ რამეს აჩვენებს, რომ პარტიარქალურ გარემოში გაზრდილი ქალები, სხვა ქალებისადმი მგრნოძნელობითა და სოლიდარობით შეიძლება არ იყვნენ გამორჩეულნი, რადგან ეს არც მათთვის უსწავლებიათ და მათი რეფლექსიაც იმ გარემოს შესაბამისია, სადაც გაიზარდნენ. პრობლემურია ასევე გადაცემის დასაწყისშივე გასული სიუჟეტი (00 წამიდან 1:15-ის ჩათვლით, იხილეთ ლინკი) სადაც ფემიციდის ერთ-ერთი ბოლო შემთხვევის რეკონსტრუქცია მოხდა და დეტალური ინფორმაციით ჟურნალისტმა გადმოსცა რა მოხდა იმ კონკრეტული შემთხვევის დროს. მაშინ როცა, ფემიციდი დომინოს ეფექტით ხასიათდება და დანაშაულის დეტალების საჯაროდ განხილვამ შესაძლოა მისი განმეორებითობა გამოიწვიოს (4 მკვლელობა/მკვლელობის მცდელობა ერთი კვირის განმავლობაში, რომელიც ერთი და იმავე მეთოდით იყო ჩადენილი). ჟურნალისტი ვალდებულია

მასალაზე მუშაობისას გაითვალისწინოს და დანერგოს ეთიკური და გენდერულად მგრძნობიარე სტანდარტი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ქალთა მიმართ ძალადობის კვლავწარმოებას უწყობს ხელს. გადაცემაში გასული გამოკითხვები (ე.წ. Vox populi) და გამოკითხვების დროს გჟღერებული კითხვები : „არის თუ არა ცოლი ქმრის საკუთრება?", "ქალი რო თხოვდება, ვინაა მისი პატრონი?", "ოჯახის თავი ვინ არის : ქალი თუ კაცი?" "წამორტყმა უნდა აიტანოს ცოლმა ქმრისგან" (იხილეთ ლინკი, 05:47 - დან 07:05-ის ჩათვლით), ემსახურებოდა ქალის ობიექტივიზაციას და იმ სტერეოტიპების გამყარებას, რომლებიც საზოგადეობაში ჯერ კიდევ არსებობს: რომ ქალი გასათხოვებელი ნივთია, მისი მომავლი ქმრის საკუთრებაში გადაცემული და ის არა საკუთარ თავს, არამედ სხვა ადამიანს, ამ შემთხვევაში ქმარს ეკუთვნის. ქალი, არა ცალკეული ადამიანი, არამედ ქალთ ჯგუფი განხილული და წამოდგენილი იქნა, არა როგორც დამოუკიდებელი და სრულფასოვანი ადამიანები, არამედ კაცების, ამ შემთხვევაში, ქმრების საკუთრებაში მყოფი ობიექტები. გადაცემაში გასული მეორე გამოკითხვის სიუჟეტის გასვლამდე, ერთ-ერთი წამყვანი კითხულობს, თუ რა უნდა გააკეთოს ქალმა, რომ მასზე იძალადონ. ანუ, „რა შემთხვევაშია გამართლებული ცოლის ცემა", " თქვენ რომ ცოლმა გიღალატოთ, როგორ მოიქცევით?" "თქვენ რომ თქვენმა ცოლმა კამათის დროს გამოგიძახოთ პოლიცია, მაგ შემთხვევაში რას იზამთ?". აღნიშნული გამოკითხვა (იხილეთ ლინკი 13:24-დან 15:18 -ის ჩათვლით), ქალთა მიმართ ძალადობის გამართლებასა და ძალადობის ახნის მცდელობას ისახავდა მიზნად. გარდა ამისა, გამოკითხვაში პოლიციის გამოძახება მოცემული იყო კონფლიქტის ესკალაციის და გამწვავების მიზეზი და არა ქალებისთვის გამოსავალი, ძალადობის აღსაკვეთად თუ შესაჩერებლად. გადაცემის ავტორების პირდაპირი პასუხისმგებლობაა მსგავსი ძალადობის მაპროვოცირებელი, რიტორიკული კითხვების დასმა, რომელსაც ზუსტად იციან რა სავარაუდო პასუხები ექნება რესპონდენტების მხრიდან. გარდა ამისა, არც ერთ შემთხვევაში მათი მხრიდან არ გაჟღერებულ კონტრ არგუმენტები ქალების მჩაგვრელ, ქალთა მიმართ ძალადობის გამამართლებელ მოსაზრებებთან დაკავშირებით. და ბოლოს, გადაცემაში არ მოიწვიეს სამართალდამცავი ორგანოების თუ სხვა პასუხსიმგებელი უწყებების წარმომადგენლები. ?ათ უნდა ესაუბრათ, რა მექანიზმები და სერვისები აქვს სახელმწიფოს პრევენციის კუთხით, როგორ ისჯება მოძალადე, როგორ მუშაობს და უყურებს სისტემა ამ პრობლემას, რომელიც არა ცალკეული შემთხვევა, არამედ ქალების როგორც ჯგუფის პრობლემაა. გადაცემას აკლდა ანალიზი, რომ ქალთა მიმართ ძალადობა მხოლოდ ფიზიკური არაა და მას სხვა ფორმებიც აქვს, თუმცა ფემიციდი ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურესი ფორმაა. გარდა ამისა, ქალებისთვის, რომლებიც უკვე არიან ძალადობის მსხვერპლნი არ იყო მიწოდებული ინფორმაცია, როგორ ამოიცნოს ძალადობა, რა ნიშნები და ფორმები აქვს მას, ვის და როგორ დაუკავშირდეს, რა მხარდამჭერი პროგრამები არსებობს და ა.შ. ?ვენ მიგვაჩნია, რომ გადაცემაში ასევე დარღვეული იყო ქარტიის მეათე პრინციპი, რადგან ნაჩვენები იქნა გარდაცვლილი ქალების ფოტოები (იხილეთ ლინკი 18:30-დან 19:39-ის ჩათვლით). კონკრეტული ქალების იდენტიფიცირება და ფოტოების გავრცელება, ფემიციდისა და ძალადობი სისტემურ პრობლემაზე საუბარს არ სძენდა დამატებით შინაარს. მათი იდენტიფიცირებით კი შეიძლება, კიდევ ერთხელ, შეილახოს გარდაცვლილი ქალის ღირსება და დაზიანდეს მათი არასრულწლოვანი შვილების საუკეთესო ინტერესი. ?სევე, განხილული იყო სხვისი პირადი ცხოვრება, ფსიქიკური ჯანმრთელობა და მედიკამენტზე დამოკიდებულება, მისი უშუალო მონაწილეობის გარეშე და წამყვანებს არც კი უკითხავთ, ჰქონდა თუ არა სტუმარს ამისი გაჟღერების ნებართვა (იხილეთ ლინკი, 11:00-დან 12:06 -ის ჩათვლით)

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები